პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 85 (11089) | პარასკევი, 11 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია ხაზგასმით აღნიშნავენ თავიანთ ურყევ ერთგულებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისადმი და აცხადებენ, რომ ორივე პარტია კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს მტრის ცდების წინააღმდეგ გამოიყენოს ნაციონალიზმი ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის გაღვივების მიზნით.

ერთობლივი განცხადება

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიებისა და მთავრობების დელეგაციათა მოლაპარაკების შედეგების შესახებ

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის მოწვევით 2-დან 10 აპრილამდე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში საპასუხო ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

ვიზიტის დროს გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის, რომელშიც შედიან: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის მეთაური), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, უკრაინის კომუნისტური პარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. პ. ბოიკოვა და სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ე. ი. გრომოვი, და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისა, რომელშიც შედიან: უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი (დელეგაციის მეთაური), უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე დოქტორი ფერენც მიუნიხი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დიერდ მაროშანი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დიულა კალაი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იენე ფოკი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ენდრე შიკი.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრულ და გულითად ვითარებაში, სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო უნგრეთის ეროვნული დღესასწაულის გამო — ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლების 13 წლისთავის გამო გამართულ საყოველთაო-სახალხო ზეიმში, აგრეთვე დაათვალიერა სამრეწველო საწარმოები, სამეცნიერო დაწესებულებები და კოოპერაციული მეურნეობები, იმოგზაურა უნგრეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის დროს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მრავალი მეგობრული შეხვედრა და საუბარი ჰქონდა პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან, მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებსა და საუბრებს თან ახლდა აზრთა გულახდილი გაზიარება მრავალ საკითხზე, რომლებიც ეხება ორივე ქვეყანას შორის მეგობრული, ძმური ურთიერთობის განვითარებასა და შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შესაძლებლობა ჰქონდა დარწმუნებულიყო უნგრეთის მშრომელთა დიდ შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობაში, რომლებმაც ცხადყვეს თავიანთი ურყევი რწმენა სოციალიზმის დიადი იდეებისადმი და მისწრაფება აშენონ თავიანთი საშობლოს ბედნიერი მომავალი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით. დელეგაცია პირადად დარწმუნდა იმაში, თუ რაოდენ დიდია უნგრელი მშრომელების მეგობრობის გრძნობა საბჭოთა ხალხისადმი, რაოდენ დიდია მათი მისწრაფება განავითარონ და განამტკიცონ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ძმური ურთიერთდახმარებისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნისას საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა უნგრელი ხალხის დიდ მიღწევებს ომისშემდგომ პერიოდში, მის წარმატებებს კონტრრევოლუციური ამბოხების შედეგების ლიკვიდაციისა და უნგრეთში სახალხო ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, თავის მხრივ, საჭიროდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა და მორალურმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი კონტრრევოლუციური აჯანყების შედეგების უსწრაფესად აღმოფხვრას, ხოლო მისმა ეკონომიურმა დახმარებამ შესაძლებლობა მისცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას უმოკლეს ვადაში დაეძლია სამეურნეო სიძნელეები, თავიდან აეცილებინა უმუშევრობის საფრთხე და ინფლაცია უნგრეთში.

* * *

ძოლაპარაკების დროს ორივე დელეგაციამ ერთმანეთს მიაწოდა ინფორმაცია თავისი პარტიებისა და ქვეყნების საშინაო პრობლემებზე. ერთმანეთს გაუზიარა აზრები საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების ღონისძიებებზე, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობასა და მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის აქტუალურ პრობლემებზე. აზრთა გაზიარების შედეგად დელეგაციებმა დაადასტურეს ყველა განხილულ საკითხზე შეხედულებათა სრული ერთიანობა.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა 1957 წლის 28 მარტის ერთობლივი დეკლარაციის განხორციელებამ ხელი შეუწყო ორივე ქვეყანას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას და საბჭოთა ხალხსა და უნგრელ ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცებას. საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის გაფართოების მიზნით ხელმოწერილ იქნა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი: შეთანხმება საბჭოთა კავშირის იმ ჯარების უფლებრივი სტატუსის შესახებ, რომლებიც დროებით იმყოფებიან უნგრეთის ტერიტორიაზე, კონვენცია ორმაგი მოქალაქეობის პირთა მოქალაქეობის საკითხის მოწესრიგების შესახებ, საკონსულო კონვენცია. მომზადების სტადიაშია სხვა შეთანხმებებიც, რომლებიც ეხება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას.

მხარეები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ეკონომიური თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებსაც შეიცავს 1957 წლის 28 მარტის ერთობლივი დეკლარაცია. ამ დეკლარაციის შესაბამისად ხელმოწერილ იქნა გრძელვადიანი შეთანხმება 1958-1960 წლებში საქონლის მიწოდების შესახებ, რაც უზრუნველყოფს უნგრეთისათვის სამრეწველო სიმძლავრეთა დატვირთვას და უნგრეთიდან საბჭოთა კავშირისათვის სამრეწველო წარმოების შესაბამისი საქონლის მიწოდებას.

გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება ითვალისწინებს საქონლის ურთიერთმიწოდების შემდგომ გადიდებას. დააკმაყოფილა რა უნგრეთის მთავრობის თხოვნა, აგრეთვე ხელმძღვანელობს რა მისწრაფებით ხელი შეუწყოს უნგრეთის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას, საბჭოთა მთავრობამ მისცა მას დამატებითი ეკონომიური დახმარება მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური, ქიმიური, ნავთობის, მსუბუქი მრეწველობისა და მრეწველობის და ტრანსპორტის სხვა დარგების საწარმოთა მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში.

მიღწეულია შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხანგრძლივი პერიოდისათვის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოების შესახებ, მათ შორის მძლავრი დენისა და სუსტი დენის მოწყობილობის, ხელსაწყოების, დიზელ-მოტორების წარმოებაში.

ორივე დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავისი ქვეყნების ეკონომიკისა და ხალხების ცხოვრების დონის შემდგომი აღმავლობის ინტერესებისათვის უფრო მეტად შეათანხმონ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები და ამასთან ყოველმხრივ გაითვალისწინონ თვითეული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები.

ორივე დელეგაცია დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ორ ქვეყანას შორის მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა წარმატებით და ნაყოფიერად ვითარდება. მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის დარგში მიღწეულმა წარმატებებმა დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის განმტკიცებას და ორივე ხალხის კულტურის ურთიერთ გამდიდრებას. 1957 წელს უნგრეთის მეცნიერული და კულტურული ცხოვრების ბევრი წარმომადგენელი ეწვია საბჭოთა კავშირს. ამავე დროს საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის ბევრი ცნობილი მოღვაწე ეწვია უნგრეთს. ეს ვიზიტები იმის საშუალებას იძლევა, რომ ორივე ქვეყნის ხალხები, რომელთა წინაშე სოციალიზმის პიროებებში უსაზღვრო ჰორიზონტები ისახება, ურთიერთ გაეცნონ მდიდარ მემკვიდრეობას მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დარგში. კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის შემდგომი განვითარების ინტერესებისათვის ხელმოწერილია კულტურული თანამშრომლობის 1958 წლის გეგმა და შეთანხმება ორივე ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიებს შორის.

ორ ხალხს შორის კულტურული ურთიერთობის შემდგომი გაფართოების საქმეში მხარეები მაღალ შეფასებას აძლევენ მეგობრობის საზოგადოებათა მუშაობას საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში და აცხადებენ, რომ ყოველმხრივ დაუჭერენ მხარს ამ ორგანიზაციებს.

* * *

მოლაპარაკების მსვლელობაში გამოვლინდა სრული ერთობა შეხედულებებისა ვარშავის თავდაცვითი ხელშეკრულების როლსა და მნიშვნელობაზე, რომელიც მისი მონაწილე ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სულ უფრო მზარდი სამხედრო მზადების წინაშე.

ერთსულოვნად აღინიშნა, რომ თვითეული სოციალისტური ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საიმედო გარანტიაა სოციალისტურ სახელმწიფოთა მჭიდრო შეკავშირება ერთიან ბანაკად ძმური ურთიერთდახმარების, სრული თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე. სოციალისტურ სახელმწიფოთა სოლიდარობა რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ ემსახურება ყველა ხალხის ინტერესებს, აკავებს რა იმპერიალისტური წრეების აგრესიულ სწრაფვას და მხარს უჭერს მშვიდობისა და პროგრესის ყოველდღიურად მზარდ ძალებს.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა საგარეო პოლიტიკის დარგში კვლავაც იხელმძღვანელებენ საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის მძლავრი სოციალისტური ბანაკის შემდგომი განმტკიცებისა და შეკავშირების ამოცანებით. ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს ამ ერთიანობას, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ერთობა, კომუნისტური საზოგადოების აშენების მიზნების ერთიანობა და სოციალისტურ სახელმწიფოთა მტკიცე გადაწყვეტილება — წინააღმდეგობა გაუწიონ მათი ხალხების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დარღვევის ყოველ ცდას.

მოლაპარაკების დროს გამოირკვა ორივე მხარის შეხედულებათა დამთხვევა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ყველა საკითხში.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, ერთგულნი 1957 წლის ნოემბერში მოსკოვში ხელმოწერილი კომუნისტური და მუშათა პარტიების დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის პრინციპებისა და იდეებისა, თავიანთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიან ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მშვიდობის მთელი ძალების კონსოლიდაციას ხალხთა ნამდვილი უშიშროებისათვის, ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა აღნიშნავენ, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთავარი პრობლემა კვლავ ის არის, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ომის წარმოშობის საფრთხის თავიდან აცილების კონკრეტულ და გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, ომისა, რომელსაც ჩვენს საუკუნეში შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს კაცობრიობისათვის. ორივე დელეგაციამ გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ ამ მიმართულებით დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ის, რომ უახლოეს ხანში მოწვეულ იქნას ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა თათბირი მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით.

იმ საკითხების დადებითი გადაჭრა, რომლებიც საბჭოთა მთავრობას უმაღლესი დონის თათბირზე განსახილველად შეაქვს, კარგი საფუძველი იქნება იმისათვის, რომ ევროპაში შეიქმნას კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შესანარჩუნებლად, რამდენადაც სწორედ ევროპა ორჯერ იყო ნახევარი საუკუნის მანძილზე სისხლისმღვრელი ომების წარმოშობის კერა, რომლებმაც აურაცხელი უბედურება მოუტანა ევროპის ხალხებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ დაიდოს თავდაუსხმელობის შეთანხმება ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შემავალ სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალ სახელმწიფოებს შორის. ახლანდელ პირობებში, როცა ხალხები მტკიცედ მოითხოვენ განხორციელდეს ღონისძიებანი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების მოსაწესრიგებლად, ასეთი შეთანხმებით დასაბამი მიეცემოდა სახელმწიფოთა ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას და საჭირო გარდატეხა მოხდებოდა საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში საერთოდ.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ სასწრაფო საერთაშორისო პრობლემებს შორის ისეთი მომწიფებული საკითხების გადაჭრას, როგორიც არის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და ყოველგან შეწყვეტა, გერმანიაში და ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი უცხოელთა ჯარების რიცხვის შემცირება, ატომგულისა და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნა ცენტრალურ ევროპაში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია აღნიშნავს, რომ ისტორიული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი წესით შეწყვეტის შესახებ. ეს დიდად ჰუმანური ნაბიჯი, რომელიც ნაკარნახევია ზრუნვით ხალხთა შორის მშვიდობისათვის, იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდასთან დაკავშირებული საფრთხე, რომელიც ადამიანთა ჯანმრთელობას ემუქრება, შეესაბამება ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და წარმოადგენს ფასდაუდებელ წვლილს საჭირო საერთაშორისო ნდობის დამყარებაში. ეს გადაწყვეტილება ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა ყველგან შეწყვიტოს **ყველა ქვეყანამ და სამარადისოდ.**

ორივე მხარე გამოთქვამს იმედს, რომ სხვა სახელმწიფოები, რომლებსაც ატომგულის იარაღი აქვთ, აგრეთვე დაუყოვნებლივ შეწყვეტენ ატომურ და წყალბადის იარაღის ექსპერიმენტულ აფეთქებებს და თავის მხრივ შეიტანენ წვლილს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების დიად საქმეში.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მოითხოვენ კონკრეტული ნაბიჯების განხორციელებას განიარაღების დარგში და გადაჭრით გმობენ გამალებულ შეიარაღებასა და სამხედრო მზადებას, რასაც ნატოს მონაწილე სახელმწიფოები ახორციელებენ. ისინი გმობენ ნატოს მონაწილე ქვეყნების ყოველგვარ ცდას თავს მოაბვიონ ისეთი პირობები განიარაღების საკითხების განხილვისას, რომლებიც შელახავდნენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების უშიშროების ინტერესებს და ამავე დროს კიდევ უფრო გაუხსნიდნენ ხელფეხს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მონაწილეებს მათი სამხედრო მზადების აგრესიული პოლიტიკის განხორციელებაში. ისინი წინანდებურადვე მტკიცედ მოითხოვენ შეწყდეს „ცივი ომი“ ყველა მისი გამოვლინებით, შეწყდეს ომის პროპაგანდა, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში წარმოეს, თავისუფლად განვითარდეს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობა და საერთაშორისო ვაჭრობა, რომლებიც სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების ყველაზე მტკიცე საფუძველს წარმოადგენენ.

საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ უჭერენ მხარს სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას, რამდენადაც ასეთი ბაზების არსებობა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ეკვისა და უნდობლობისა, რომლებიც სწამლავენ საერთაშორისო ურთიერთობას.

ორივე მხარეს არ შეუძლია არ გამოთქვას სერიოზული შეშფოთება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელმაც ფედერალურ მთავრობას მისცა რწმენება აღჭურვოს დასავლეთ გერმანიის არმია ატომური და წყალბადის იარაღით. ისინი გამოთქვამენ აგრეთვე შეშფოთებას იმის გამო, რომ მზადდება უცხოეთის ატომური და რაკეტული ბაზების განლაგება დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე, რამდენადაც დასავლეთ გერმანიის ასეთი პოლიტიკის შედეგად ევროპაში იქმნება ვითარება, რომელიც ბევრ მხრივ წააგავს იმას, როცა ჰიტლერულმა გერმანიამ დაიწყო მზადება მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის. მხარეები გამოთქვამენ იმედს, რომ დასავლეთ გერმანიაში მოიძებნებიან ძალები, რომლებიც არ მისცემენ ნებას დააყენონ იგი ატომური ომის მზადების საშიშ და დამღუპველ გზაზე, ომისა, რომლის გამანადგურებელი ცეცხლი უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე გაივლიდა.

ორივე დელეგაცია აღნიშნავს, რომ გერმანიის გაერთიანების საკითხი მთლიანად შეადგენს ორი სუვერენული გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომპეტენციას და რომ გერმანიის ერთიანობის მშვიდობიანი აღდგენის პირველი ნაბიჯი, როგორც ამას მოითხოვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, იქნებოდა გერმანიის კონფედერაციის შექმნა. საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა სავსებით უჭერენ მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ წინადადებას.

საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას მიაჩნიათ, რომ უდიდესი მიღწევები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, რაც გამოიხატა საბჭოთა კავშირის მიერ დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრების გაშვებით, სახავენ ახალ, წინათ არარსებულ შესაძლებლობებს საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბუნების კანონების შეცნობის დარგში მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ შეთანხმების მიღწევა სამხედრო მიზნებისათვის კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვისა და სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ, როგორც ამას საბჭოთა კავშირი მოითხოვს, არა მარტო გზას უხსნის ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას კოსმოსის სივრცის შესწავლის დარგში, არამედ ამავე დროს დიდი ნაბიჯია, რომელიც ხელს უწყობს განიარაღების პრობლემის გადაჭრას მთლიანად.

ორივე დელეგაციამ კვლავ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას მტკიცედ აქვთ განზრახული გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ სახელმწიფოთა შორის მტრობის გაღვივებით დაინტერესებული წრეების ყოველგვარი იმ ცდების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია მოწამლონ საერთაშორისო პოლიტიკური ატმოსფერო ისეთი პროვოკაციული საკითხების წამოყენების გზით, როგორიც არის საკითხი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ. საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ აცხადებენ, რომ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების, ისევე როგორც ყოველი სხვა სუვერენული სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხი არ შეიძლება იყოს დისკუსიის საგანი საერთაშორისო თათბირებზე, რამდენადაც იგი დიდი ხანია გადაწყვიტეს ამ ქვეყნების ხალხებმა, რომლებიც მტკიცედ და საბოლოოდ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ცდა — თავს მოახვიონ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მდგომარეობის საკითხის განხილვა არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს და შეუწყნარებელი ჩარევაა სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. ისინი გადაჭრით უარყოფენ ასეთ ცდებს როგორც მშვიდობის საქმისადმი მტრულ ცდებს.

აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში არსებული მდგომარეობის საკითხის დაყენება, ისევე როგორც იმის მოთხოვნა, რომ საერთაშორისო თათბირმა განიხილოს გერმანიის გაერთიანების საკითხი, ესე იგი საკითხი, რომელიც ორი სუვერენული გერმანული სახელმწიფოს კომპეტენციას ეკუთვნის, შეიძლება შევაფასოთ მხოლოდ და მხოლოდ როგორც იმის ცდა, რომ ჩაშალონ შეთანხმება „ცივი ომის“ ლიკვიდაციისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ. იგი შეიძლება აგრეთვე შევაფასოთ მხოლოდ და მხოლოდ როგორც იმის ცდა, რომ ჩაშალონ მოწვევა თათბირისა უმაღლეს დონეზე უგუნური გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების გადაუდებელ საკითხთა განსახილველად და როგორც მისწრაფება ხვალინდელი დღისათვის შიშში იყოლიონ ხალხები, გააძლიერონ მტრობა და დაეჭვება სახელმწიფოთა ურთიერთობაში, გააღვივონ ომის ფსიქოზი, ამასთანავე უდიდესი და სულ უფრო მზარდი მოგება მიიღონ სამხედრო მიწოდებებით.

ორივე დელეგაციამ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა სრულ სოლიდარობას უცხადებენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის, დარწმუნებული არიან რა, რომ კოლონიური სისტემის — ერთი ჯგუფი ქვეყნების სხვა ქვეყნებზე ბატონობის სისტემის დაღუპვა გარდუვალი ისტორიული პროცესია.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ განაცხადა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ისწრაფვის განაახლოს ან დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ამას მოისურვებენ. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ახორციელებს მეზობელ ავსტრიასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, რამდენადაც უნგრეთისა და ავსტრიის თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად დაედება ერთმანეთის სუვერენიტეტის ურთიერთ აღიარება და საშინაო საქმეებში

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ერთობლივი განცხადება

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიებისა და მთავრობების დელეგაციათა მოლაპარაკების შედეგების შესახებ

(დასასრული)

ჩაურევლობის პრინციპის თანმიმდევრული დაცვა, წვლილი იქნება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების დამყარების საქმეში. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ამ პოზიციას საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სრული გაგებით შეხვდა.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციები მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, „ცივი ომის“ შეწყვეტის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და ყველა სახელმწიფოთა — დიდ და მცირე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაფართოების კეთილშობილური მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნას სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დაცვის გზით, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი სისტემებისა, იმ პრინციპებისა, რომლებმაც უკვე ჰპოვეს ფართო საერთაშორისო აღიარება.

* * *

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებსა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წარმომადგენლებს შორის მოხდა აზრთა ფართო გაზიარება პარტიული ურთიერთობის საკითხებზე. მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში გამართულმა საუბრებმა ცხადყო, რომ ორივე პარტიას შორის შეხედულებათა სრული ერთობაა ყველა განხილულ საკითხზე.

ორივე პარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას შორის თანამშრომლობა ვითარდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაციების მოლაპარაკების შესახებ იმ განცხადების სრული შესაბამისობით, რომელიც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში 1957 წლის 28 მარტს. განვლილ პერიოდში ორივე პარტიას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა და ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას მუდმივი კონტაქტი აქვთ ურთიერთ შორის იმ მიზნით, რომ მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური და შინაპოლიტიკური მდგომარეობის სწრაფი ნორმალიზაცია მიღწეულია იმის მეოხებით, რომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია ახორციელებს სწორ პოლიტიკას, რომელიც ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ პრინციპებს. ამ პოლიტიკაში, რომელიც სავსებით შეესაბამება უნგრელი მშრომელი ხალხის ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებებს, შემოქმედებითად შეხამებულია სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებანი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარების კონკრეტული ისტორიული პირობები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წარმომადგენლებს შორის აზრთა ნაყოფიერი გაზიარება მოწმობს მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ორმხრივი შეხვედრების უთუო სარგებლობას. ორივე მხარე ადასტურებს სურვილს კვლავაც შეხვდნენ ერთმანეთს იმ საკითხების ერთობლივი განხილვისათვის, რომლებიც ორივე პარტიას აინტერესებს. ამასთან ერთად ორივე პარტიის წარმომადგენლები იმ აზრისა არიან, რომ საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ინტერესებისათვის სასარგებლოა აგრეთვე მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მრავალმხრივი შეხვედრების პერიოდული ორგანიზაცია. ორივე დელეგაციას მიაჩნია, რომ 1957 წლის ნოემბერში მოსკოვში გამართული მოძმე პარტიების წარმომადგენელთა თათბირები დიდი წვლილი იყო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და დარაზმულობის განმტკიცების საქმეში, ხალხთა შორის მშვიდობის დაცვის საქმეში.

ორივე პარტიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ, ბრძოლას მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების იდეური სიწმინდისათვის.

ახლანდელ პირობებში, როცა იმპერიალისტური რეაქცია განსაკუთრებულ ღონისძიებებს იღებს, რათა დაასუსტოს კომუნისტური და მუშათა პარტიები, ძირი გამოუთხაროს მათს ერთობას, დაასუსტოს მათი დარაზმულობა და სიმტკიცე, მსოფლიოს ხალხთა შორის კომუნიზმის იდეების მზარდი გავლენის შეფერხების ცდებში ერთ-ერთი მისი ძირითადი იარაღია კომუნისტური და მუშათა პარტიების რიგებში ყოველგვარი რევიზიონისტული მიმდინარეობებისათვის მხარდაჭერა. ამიტომ ორივე პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია განაგრძონ მტკიცე ბრძოლა რევიზიონიზმის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც პარტიის ერთიანობას ემუქრება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წარმომადგენლები აღნიშნავენ აგრეთვე საფრთხეს, რასაც წარმოადგენს მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში დოგმატიზმი და სექტანტობა, რომლებიც აძნელებენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის განვითარებას და მის შემოქმედებით გამოყენებას კონკრეტულ პირობებში, ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული კონკრეტული ვითარების შესწავლას ცვლიან მედავითნეობით. დოგმატიზმი და სექტანტობა იწვევენ პარტიის მოწყვეტას მასებისაგან, რაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოუტანს გამარჯვებას მუშათა კლასის საქმეს, სოციალიზმის საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია ხაზგასმით აღნიშნავენ თავიანთ ურყევ ერთგულებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისადმი და აცხადებენ, რომ ორივე პარტია კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს მტრის ცდების წინააღმდეგ გამოიყენოს ნაციონალიზმი ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის გაღვივების მიზნით.

მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე პარტიის წარმომადგენლებმა განიხილეს აგრეთვე კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომი გაფართოების ინტერესებისათვის.

* * *

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებმა გამოთქვეს ღრმა კმაყოფილება შემდგარი მოლაპარაკების შედეგების გამო და აღნიშნეს, რომ არსებობს ყველა შესაძლებლობა ორი ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. ისინი აცხადებენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც განავითარონ დამყარებული ურთიერთობა თავიანთი ხალხების საკეთილდღეოდ, რაც ხელს შეუწყობს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების შემდგომ ძმურ დარაზმვას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ხრუშჩოვი.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის სახელმწიფო მინისტრი
ი. კადარი.

ბუდაპეშტი, 1958 წლის 9 აპრილი.

ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიებისა და მთავრობების დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შედეგების შესახებ

ბუდაპეშტი, 9 აპრილი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს უნგრეთის პარლამენტის შენობაში ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიებისა და მთავრობების დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მხრივ ერთობლივ განცხადებას ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის სახელმწიფო მინისტრმა იანოშ კადარმა.

ხელმოწერას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, უკრაინის კპ კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. პ. ბოიკოვა და სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ე. ი. გრომოვი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის თანმხლებნი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, ევროპის მეხუთე განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი პ. ს. დედუშკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, უნგრეთში სსრ კავშირის საელჩოს მრჩევლები ვ. ს. ბოიკოვი და ი. ნ. ჩერნიაკოვი.

უნგრეთის მხრივ დაესწრნენ — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ფერენც მიუნიხი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ბელა ბისკუ, იენე ფოკი, დიულა კალაი, კაროი კიში, დიერდ მაროშანი, შანდორ რონაი, მიკლოშ შომოდი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები დეჟე ნემეში, ზოლტან კომოჩინი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრები, საგარეო საქმეთა მინისტრი ენდრე შიკი და მთავრობის სხვა წევრები, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იშტვან სირმაი, ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე დეჟე სილადი, მინისტრთა საბჭოს ინფორმაციის სამმართველოს უფროსი ლასლო დიაროში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იშტვან შებეში.

ერთობლივი განცხადების ხელმოწერის შემდეგ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და უნგრეთის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ვახშამი გამართეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისაგან

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე მიღებულია ბევრი წერილი და დეპეშა სახელმწიფო და პარტიული ორგანიზაციებისაგან, ქალაქებისა და სოფლების, საწარმოებისა და კოოპერატივების მშრომელთაგან, რომლებიც გვთხოვენ ვიწვიოთ მათ.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ყველა ორგანიზაციასა და მშრომელს, რომლებმაც გამოგზავნეს თავიანთი გულთბილი სალამი და მეგობრული მიწვევა, გულითად მადლობას უძღვნის და გულწრფელად წუხს, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის შეზღუდული დრო საშუალებას არ აძლევს ისარგებლოს ამ მიწვევით.

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, წარმატებებს თქვენს მუშაობაში სოციალიზმის ასაშენებლად და ბედნიერებას თქვენს პირად ცხოვრებაში.

ნახვამდის, ჩვენო უნგრელო მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია.

დარბაზობა საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, ბუდაპეშტის საელჩოში

ბუდაპეშტი, 9 აპრილი. (საკდესი). გუშინ უნგრეთში სსრ კავშირის საელჩოში გაიმართა დარბაზობა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა დელეგაციის წევრები.

უნგრეთის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ფერენც მიუნიხი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის წევრები, მინისტრები, უნგრეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები, უნგრეთის სახალხო არმიის წარმომადგენლები, მთელი რიგი ქვეყნების საელჩოებისა და მისიების მეთაურები, აკრედიტებულნი ბუდაპეშტში, უნგრელი და უცხოელი ჟურნალისტები.

სიტყვა წარმოთქვა რა დარბაზობაზე, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ ფერენც მიუნიხმა სულით და გულით მადლობა უძღვნა საბჭოთა სტუმრებს კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც მათ გამოთქვეს უნგრეთის განთავისუფლების მე-13 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე. ამხ. მიუნიხმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხის ეს სურვილები მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებს უნგრელ მშრომელთა გულში.

უნგრელი ხალხი ნამდვილი მეგობრობის გრძნობით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირისადმი, და ეს მეგობრობა სულ უფრო მტკიცდება.

საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი, განაცხადა ამხ. მიუნიხმა, დიდმნიშვნელოვანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ნიშანსვეტია უნგრელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების გზაზე.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ილაპარაკა რა საბჭოთა დელეგაციის ყოფნაზე უნგრეთში, ამხ. ხრუშჩოვმა თქვა, რომ საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს ყველგან უაღრესად გულთბილი, გულითადი შეხვედრა გაუმართეს.

— ეს აღმაფრთოვანებელი გულითადი შეხვედრები, — ამბობს იგი, — იმ გულთბილი მეგობრული გრძნობების გამოვლინებაა, რომლითაც უნგრელი ხალხი გამსჭვალულია საბჭოთა ხალხისადმი.

— ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართ, — თქვა შემდეგ ამხ. ხრუშჩოვმა, — ჩვენი მოგზაურობის შედეგებით და იმედი გვაქვს, რომ იგი დიდ სარგებლობას მოუტანს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობისა და ჩვენი ქვეყნების და სოციალიზმის მთელი ბანაკის ხალხთა ძმური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას. აგრეთვე დარწმუნებული ვართ, რომ ეს მოგზაურობა სამსახურს გაუწევს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებს.

დარბაზობამ უაღრესად მეგობრულ, გულიდან ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია უნგრეთში

ტატაბანია, 8 აპრილი. **(საკდესის სპეც. კორ.).** საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და დელეგაციის წევრები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და უკრაინის კპ კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი დღეს იყვნენ ქალაქ ტატაბანიაში. დელეგაციასთან ერთად ტატაბანიაში ჩამოვიდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები იენე ფოკი და ბელა ბისკუ, აგრეთვე შრომის მინისტრი ედენ კიშხაზი და მძიმე მრეწველობის მინისტრი შანდორ ცოტნერი.

14 საათზე საბჭოთა სტუმრები, რომლებსაც ათასობით მოქალაქე მხურვალედ შეხვდა, მანქანებით მივიდნენ პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების შენობასთან. მათ მიესალმა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე იშტვან შილერი. პიონერებმა ყვავილები მიართვეს სტუმრებს. ხანმოკლე შესვენების შემდეგ საბჭოთა დელეგაციის წევრები უნგრეთის ხელმძღვანელთა თანხლებით ქალაქის სტადიონზე წავიდნენ. სტადიონზე და მის გარშემო 70 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა. აქ მოვიდნენ არა მარტო ქალაქ ტატაბანიისა და ოლქის მცხოვრებნი, არამედ აგრეთვე ოთხი მომიჯნავე ოლქის ბევრი წარმომადგენელი. მიტინგის მონაწილენი ტრიბუნაზე საბჭოთა დელეგაციის წევრებისა და უნგრეთის ხელმძღვანელების გამოჩენას შეხვდნენ მქუხარე ტაშით და შეძახილებით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „გაუმარჯოს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „გაუმარჯოს პარტიას!“.

მიტინგი გახსნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ლასლო მოლნარმა, რომელიც გულითადად მიესალმა საბჭოთა სტუმრებს.

შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა, რომელსაც მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ტრიბუნაზე ადის საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი. მიტინგის მონაწილენი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დროს არაერთგზის გაისმოდა ტაშის გრიალი და მისასალმებელი შეძახილები საბჭოთა კავშირის პატივსაცემად, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად.

მიტინგი დამთავრდა. შეკრებილნი განსაკუთრებული აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

ბუდაპეშტი, 9 აპრილი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და დელეგაციის წევრები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში ე. ი. გრომოვი ეწვივნენ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიას და ჩეპელის მეტალურგიულ კომბინატს. საბჭოთა დელეგაციასთან ერთად მეცნიერებათა აკადემიასა და ჩეპელის კომბინატში იყვნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები დიერდ მაროშანი, დიულა კალაი და ბელა ბისკუ, აგრეთვე უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი დეჟე ნემეში.

მეცნიერებათა აკადემიაში საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ აკადემიის პრეზიდენტი იშტვან რუსნიაკი და აკადემიის პრეზიდიუმის წევრები.

კონფერენც - დარბაზში შეიკრიბნენ აკადემიკოსები, მწერლები, მხატვრები, მსახიობები, განათლების მუშაკები. ისინი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა სტუმრებს. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა იშტვან რუსნიაკმა.

შემდეგ დელეგაციას მიესალმნენ მასწავლებელი ერჟებეტ ბურხარდი და ბუდაპეშტის ოპერის თეატრის მთავარი რეჟისორი კოშუტის პრემიის ლაურეატი კალმან ნადაშდი.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის სახელით გამოვიდა დიულა კალაი.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. დამსწრენი გულითადი, მქუხარე ტაშით ხვდებიან საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვის დროს არაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში. შეკრებილნი ფეხზე მდგომნი მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

იშტვან რუსნიაკმა საბჭოთა სტუმრებს გადასცა საჩუქარი—პეტეფის სტატუეტი, რომელიც შეასრულა ცნობილმა უნგრელმა მოქანდაკემ, ორგზის კოშუტის პრემიის ლაურეატმა ჟიგმონდ კიშფალუდი-შტრობლმა.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ა. გრომიკო, ე. ი. გრომოვი და უნგრეთის ხელმძღვანელები გაემგზავრნენ ჩეპელის კომბინატში — უნგრეთის უდიდეს საწარმოში. აქ მუშაობს 27 ათასი კაცი. კომბინატი უშვებს უნგრეთის მთელი მეტალურგიული მრეწველობის პროდუქციის 15 პროცენტს. აქ კეთდება სულ სხვადასხვა პროდუქცია — ფოლადი, ნაგლინი, მილები, სხვადასხვა ზომის ნაჭედობა, თუჯისა და ფოლადის სხმული, საღარავი და საბურღავი ჩარხები, მოტოციკლები, ველოსიპედები, საკერავი მანქანები, ბურთულ-საკისარები, სხვადასხვა ინსტრუმენტი, ქიმიური ნაწარმი და სხვ.

მთავარ შესასვლელთან საბჭოთა სტუმრებს გულთბილად მიესალმა კომბინატის დირექტორი ლასლო კომიატი. მისალმების პასუხად ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სახელით ჩეპელელებს უსურვა წარმატებები მუშაობაში.

პიონერებმა და მოსწავლეებმა ყვავილები მიართვეს საბჭოთა სტუმრებს. ნ. ს. ხრუშჩოვმა ნიშნები აჩუქა პიონერებს. მილსაგლინავ ქარხანასთან პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს შეხვდა ამ ქარხნის დირექტორი ანტალ შომოდი. შეკრებილნი მხურვალედ უკრავენ ტაშს საბჭოთა სტუმრებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, ა. ა. გრომიკომ, ე. ი. გრომოვმა და უნგრეთის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს მილსაგლინავი ქარხნის ერთ-ერთი საამქრო.

საბჭოთა სტუმრები შემდეგ გაეცნენ ჩარხმშენებელი ქარხნის საამქროებს. ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდა წარმოების პროცესით, ესაუბრა მუშებსა და ინჟინრებს, გამოთქვა ამხანაგური რჩევა-დარიგება. ერთ-ერთ საამქროში, რომელიც ფართო მოხმარების საქონელს აწარმოებს, გაიმართა მიტინგი. მიტინგში მონაწილეობა მიიღო 12 ათასზე მეტმა მშრომელმა.

მიტინგი გახსნა კომბინატის პარტკომის მდივანმა დეჟე კიშმა.

მუშები გულითადად მიესალმნენ საბჭოთა დელეგაციას. გაისმის შეძახილები „გაუმარჯოს ამხანაგ ხრუშჩოვს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ კადარს!“, „გაუმარჯოს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“. მიტინგის მონაწილენი დიდხანს წარმოთქვამენ სიტყვებს: „მოსკოვი — ბუდაპეშტი!“ მიკროფონთან მიდის იანოშ კადარი, რომელსაც მიტინგის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ.

ჩეპელის მშრომელები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშითა და „ვაშას“ შეძახილებით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას.

მიტინგი დამთავრდა. შეკრებილნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

მიტინგის შემდეგ კომბინატის დირექტორმა და პარტკომმა სადილი გამართეს საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად.

სადილზე, რომელმაც განსაკუთრებით გულითად ვითარებაში ჩაიარა, ჩეპელის მეტალურგიული კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა დეჟე კიშმა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს (საკდესი).

მიშკოლცი, 9 აპრილი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ფ. რ. კოზლოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ე. შელესტი მიშკოლცში გაემგზავრნენ.

მიშკოლცში საბჭოთა სტუმრებსა და უნგრელ ხელმძღვანელებს ათასობით მშრომელნი შეხვდნენ. მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბორშოდის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა იოჟეფ პრიესოლმა. ვ. ვ. გრიშინმა საბჭოთა დელეგაციის სახელით გულთბილი მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულითადი შეხვედრისათვის.

მანქანები მიდიან ვ. ი. ლენინის სახელობის კომბინატში.

საბჭოთა სტუმრები და უნგრელი ხელმძღვანელნი შევიდნენ კომბინატის საგლინავ საამქროში, სადაც გაიმართა მიტინგი. იგი გახსნა კომბინატის პარტკომის მდივანმა იანოშ ნემეშკერიმ. სიტყვა წარმოთქვა ფერენც მიუნიხმა.

საბჭოთა სტუმრების სახელით ფ. რ. კოზლოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა მეტალურგებს გულთბილი, ძმური შეხვედრისათვის. მას სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

მიტინგის შემდეგ საბჭოთა სტუმრებმა უნგრელ ამხანაგებთან ერთად დაათვალიერეს კომბინატის საამქროები, ესაუბრნენ მუშებს.

გულითადი გაცილება მოუწყეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ბუდაპეშტში

ბ უ დ ა პ ე შ ტ ი, 10 აპრილი. (**საკადესის სპეც. კორ.**). დღეს ბუდაპეშტიდან სამშობლოში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის მეთაური), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, უკრაინის კომუნისტური პარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. პ. ბოიკოვა.

ფერიხადის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გააცილეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობიმ, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ ფერენც მიუნიხმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, უნგრეთის მინისტრებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებმა, უნგრეთის სახალხო არმიის გენერლებმა და ოფიცრებმა, ბუდაპეშტში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა, უნგრეთის დედაქალაქის მრავალმა ათასმა მშრომელმა.

პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა უნგრეთში ე. ი. გრომოვმა და საბჭოთა საელჩოს მთელმა შემადგენლობამ.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

9 საათი და 55 წუთია. ფანფარების ხმა იუწყება, რომ აეროდრომზე მოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია.

აეროდრომზე გრიალებს ტაში. სრულდება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები. ნ. ს. ხრუშჩოვმა და იანოშ კადარმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულს. შემდეგ საბჭოთა დელეგაციის მეთაური ესალმება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, დიპლომატებს, სახალხო არმიის გენერლებსა და ოფიცრებს, უნგრეთის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებს. პიონერებმა ყვავილები მიართვეს საბჭოთა სტუმრებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი, დელეგაციის წევრები და უნგრეთის ხელმძღვანელები ტაშის გრიალსა და მისალმების შეძახილებში ადიან აეროპორტის შენობის წინ დადგმულ ტრიბუნაზე.

სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც ყველა შეკრებილი მჭუხარე ტაშით ხვდება.

ნ. ს. ხრუშჩოვს მრავალგზის შეაწყვეტინეს სიტყვა მჭუხარე ტაშით, „ვაშას“ შეძახილითა და მისალმების შეძახილებით.

შემდეგ სიტყვას ამბობს იანოშ კადარი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

მიტინგის მონაწილენი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

მჭუხარე ტაშსა და შეძახილებში „გაუმარჯოს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“ საბჭოთა სტუმრები მიდიან თვითმფრინავისაკენ.

10 საათსა და 50 წუთზე ადგილობრივი დროით ვერცხლისფერი გიგანტი „ტუ-104“ ჰაერში ადის და კურსს იღებს მოსკოვისაკენ.

უნგრეთში მოგზაურობიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

10 აპრილს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. მოსკოველები გულითადად მიესალმნენ დელეგაციას.

ბუდაპეშტიდან საჰაერო ხომალდის „ტუ-104“-ის მოსვლისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე შეიკრიბა დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

შემხვედრთა შორის იყვნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრები, აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, რომლებსაც მხურვალე მისალმებით შეხვდნენ, გაემართნენ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის ზეინკალმა ს. ა. ანტონოვმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ა. ტრაპეზნიკოვმა და მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ვ. კოლომეიცევამ.

მჭუხარე ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას. (საკადესი).

იუგოსლავიაში ამხ. კ. ე. ვოროშილოვის გამგზავრების შესახებ

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ **ბროზ ტიტოს** მიწვევით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კლიმენტ ეფრემის-ძე **ვოროშილოვი** ოფიციალური ვიზიტით ესტუმრება იუგოსლავიას მიმდინარე წლის მაისში.

საქართველოს სსრ მრეწველობის მიერ 1958 წლის მარტში სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში 1958 წლის მარტში შესრულებულია 107 პროცენტით, ხოლო 1958 წლის პირველი კვარტალის გეგმა — 105 პროცენტით.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1957 წლის პირველ კვარტალთან შედარებით გადიდდა 11 პროცენტით.

მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივ სამმართველოთა და სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხაზით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	მარტის გეგმის შესრულება პროცენტი	I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1958 წლის I კვარტალი 1957 პროცენტობით	1958 წლის I კვარტალი შედარებით
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა	107	105	109	
აქედან:				
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	105	100,7	100,2	
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	87	99,6	99,8	
მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველო	104	105	106	
საშენი მასალების მრეწველობის სამმართველო	111	108	112	
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	117	111	115	
ქვანახშირის, ნავთობისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველო	98	98	105	
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	107	105	111	
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	104	102	106	
სასურსათო საქონლის მრეწველობის სამმართველო	109	108	114	
ხორცის, რძისა და თევზის მრეწველობის სამმართველო	131	117	123	
ტრანსპორტის სამმართველო	100	100,9	126	
ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო — სულ	107	103	110	
აქედან:				
რაისაქალაქო სამრეწველო კომბინატები	107	103	110	
პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს საწარმოები	123	109	114	
მშენებლობის სამინისტროს საწარმოები	108	110	141	
ვაჭრობის სამინისტროს საწარმოები	106	104	103	
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები	110	107	105	
კულტურის სამინისტროს საწარმოები	119	108	109	
სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოები	85	95	110	
წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმოები	112	102	108	
განათლების სამინისტროს საწარმოები	131	121	125	
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საწარმოები	119	100,1	96	
სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს საწარმოები	105	90	86	
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოები	115	113	141	
უსინათლოთა საზოგადოების საწარმოები	116	116	132	
ყრუმუნჯთა საზოგადოების საწარმოები	110	105	129	
ტრესტ „მთავართბილისმშენის“ საწარმოები	80	87	172	
ტრესტ „თბილქალაქხეტყის დამზადების“ საწარმოები	119	119	138	
სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოები	109	99,2	130	
სარეწაო კოოპერაციის საწარმოები	104	103	122	

1958 წლის პირველ კვარტალში გადაჭარბებით შესრულდა თუჯის, ფოლადის მილების, बენზინის, მინერალური სასუქების, ლითონსაჭრელი ჩარხების, ავტომობილების, შიფერის, ცემენტის, ქაღალდის, რბილი და უხეში ტყავსაკონლის, ნატურალური ჩაის, მარგარინის პროდუქციის, მაკარონის ნაწარმისა და სხვათა წარმოების გეგმა.

მთლიანად შესრულებული არ არის ქვანახშირისა და მარგანეცის მადნის ამოღების, გამჭვირვალე ნავთობპროდუქტების, ცელულოზის, დაწებებული ფანერის, მცენარეული ზეთისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა.

მრეწველობის მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა 1958 წლის პირველ კვარტალში შესრულებულია 2 პროცენტის გადაჭარბებით. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 6 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობების, კოლმეურნე მექანიზატორებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა მიმართვა საქართველოს ყველა კოლმეურნეობისადმი, კოლმეურნე მექანიზატორებისადმი და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

სასოფლო - სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობის მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და ყველა მუშაკი. რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, კანონს „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“.

მილიონობით საბჭოთა ადამიანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ისტორიული გადაწყვეტილებები მიაჩნია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისათვის პარტიის ზრუნვის ახალ გამოვლინებად და ამ ისტორიულ დოკუმენტებს შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობით უპასუხებს. ჩვენი რაიონის მშრომელები უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც სოფლის მეურნეობის წინაშე დგას.

ჩვენ მიმდინარე წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარება ახალ პირობებში გვიხდება. მძლავრი ტექნიკა კოლმეურნეობების ხელშია და მანქანებს კოლმეურნე მექანიზატორები მართავენ. ჩვენ გვაქვს ყველა პირობა შესაფიდული ტექნიკა ნაყოფიერად გამოვიყენოთ და წარმატებით გადავჭრათ პარტიის მიერ დასახული ამოცანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის დარგში.

როგორც სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე აბ. ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, მიზანი, რომელიც პარტიამ დასახა, ნათელია, ხალხს ესმის იგი და ისწრაფვის თავდადებით იმუშაოს, იჩენს რა შრომითს მამაცობას.

გულდასმით განვიხილეთ რა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დოკუმენტები და კანონი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ, ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაიონული თათბირის მონაწილეებმა გადავწყვიტეთ მივმართოთ საქართველოს რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობას, კოლმეურნე მექანიზატორებს და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს დარაზმონ მთელი თავიანთი ძალები კოლმეურნეობების მიერ შესყიდული ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის, უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა. ამ მიზნით ვკისრულობთ 1958 წელს მივაღწიოთ შემდეგ მაჩვენებლებს:

1. მარცვლეული და ზეთოვანი კულტურები

მიღებულ იქნას 31.000 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერი მარცვლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 ცენტნერისა. მათ შორის საშუალოდ ჰექტარზე სარწყავში მივიღოთ 30 ცენტნერი და ურწყავში — 20 ცენტნერი სიმინდი, ხოლო სიმინდთან შერევით სოია დავთესოთ 1.000 ჰექტარზე. 4.400 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 12 ცენტნერი მზესუმზირა ნაცვლად 10 ცენტნერისა.

ცალკეული კოლმეურნეობები კიდევ უფრო გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. მაგალითად, ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ იკისრა 1.932 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 20 ცენტნერი ხორბალი, ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 1.627 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 21 ცენტნერი ხორბალი.

ვაქირის სტალინის სახელობისა და მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 40 ცენტნერი სიმინდი (მარცვლად) ნაცვლად 16 ცენტნერისა, ანაგის კოლმეურნეობა „შრომამ“ და ტიბაანის კოლმეურნეობამ — 35 ცენტნერი სიმინდი.

2. მევენახეობა და მებაღეობა

1958 წელს გავაშენებთ 200 ჰექტარ ვენახს ნაცვლად 150 ჰექტარისა. 837 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 65 ცენტნერ ყურძენს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა, სარწყავში —75 ცენტნერს.

1958 წელს გავაშენებთ 30 ჰექტარ ხეხილის ბაღს, არსებული სრულმოსავლიანი ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 50 ცენტნერ ხილს.

3. მეცხოველეობა

1959 წლის პირველი იანვრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობას ამჟამად არსებული 13.502 სულიდან ავიყვანთ 14.500-მდე, მათ შორის ძროხისას—5.000 სულამდე; ღორის სულადობას 8.000 სულამდე; დედა ცხვრისას — 85.000 სულამდე; ფრინველისას 50.000 ფრთამდე. გავასუქებთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 60 ათას ფრთა ქათამს, გავასუქებთ 10.000 ღორს.

საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მივიღებთ 1.800 კილოგრამ რძეს ნაცვლად ელგმით გათვალისწინებული 1.300 კილოგრამისა. ერთ ცხვარზე გავპარსავთ 3 კილოგრამ მატყლს, თვითეულ კვერცხმდებელ ქათამზე მივიღებთ 90 ცალ კვერცხს. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მივიღებთ რძეს არანაკლებ 125 ცენტნერისა, ხორცს — 40 ცენტნერს; 100 ჰექტარ სახნავზე ღორის ხორცს მივიღებთ 25 ცენტნერს, მატყლს —2,8 ცენტნერს, კვერცხს 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე 10 ათას ცალს, ყოველ 100 დედაცხვარზე გავზრდით 96 ბატკანს, 100 ძროხაზე 95 ხბოს, თვითეულ დედაღორზე — 14 გოჭს.

4. საკვები ბაზის განმტკიცება და აგროტექნიკური ღონისძიებები

პირუტყვის მაღალი პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად განვამტკიცებთ საკვებ ბაზას, დავამზადებთ 40 ათას ტონა უხეშ საკვებს, ჩავდებთ 60 ათას ტონა სილოსს, საგრძნობლად გავადიდებთ ძირნაყოფა კულტურების მოსავლიანობას, რისთვისაც დავფუსავთ კარგად დამუშავებულ და განოყიერებულ ნიადაგზე.

საგაზაფხულო თესვას ჩავატარებთ შემჭიდროებულ აგროტექნიკურ ვადებში. სიმინდის თესვას 4.527 ჰექტარზე დავამთავრებთ 25 აპრილამდე.

სათოხნ კულტურებს ძირითადად დავთესავთ კვადრატულ-ბუდობრივად, ამასთან სიმინდსა და მზესუმზირას დავთესავთ დაყალიბებული თესლით, პურეულის მოსავალს ავიღებთ შემჭიდროებულ ვადებში შემოსვლიდან 10-15 სამუშაო დღეში.

5. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამოყენების ხაზით

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს მტს-ებიდან კოლმეურნეობებზე გადაცემული მძლავრი ტექნიკა. ახლა საკოლმეურნეო მინდვრებზე შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. საგაზაფხულო თესვა ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპია ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ამ დღეებში რაიონის კოლმეურნეობების მიერ შესყიდულია 171 ტრაქტორი, 140 კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რომელთა საბალანსო ღირებულება 9.073 ათას მანეთს შეადგენს.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები ეკონომიურად იმდენად ძლიერი არიან, რომ მომდინარე წლის ბოლოსათვის მთლიანად შევძლებთ ავანაზღაუროთ შესყიდული ტექნიკის ღირებულება. ამიტომ ვალდებულებას ვკისრულობთ კოლმეურნეობების მიერ შესყიდული ტექნიკის ღირებულება მთლიანად დავფაროთ 1958 წლის დეკემბრისათვის.

შეძენილი ტექნიკის ნაყოფიერად გამოყენების მიზნით წნორში შევქმნით სარემონტო-ტექნიკურ სადგურს, რომელიც მომსახურებას გაუწევს რაიონის ყველა კოლმეურნეობას. წელს ავაშენებთ იარაღ-მანქანების შესანახ ფარდულებს შემდეგ კოლმეურნეობებში: ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ და სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, ძველი ანაგის სტალინის სახელობის, საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობებში, ანაგის კოლმეურნეობა „შრომაში“, ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“, ტიბაანისა და სხვა კოლმეურნეობებში. გავაფართოებთ სამჭედლოებს, კოლმეურნეობებისათვის მოვამზადებთ 20 ხარატს, 18 ზეინკალს, 18 მჭედელს.

რაიონის კოლმეურნეობებში მეტი ტექნიკის შესყიდვისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით საგრძნობლად გავზრდით კოლმეურნეობების განუყოფელ ფონდს.

პურეულის ორ ფაზად აღებას მოვაწყობთ ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“, წნორის რუსთაველის სახელობის, ბოდბისხევის სტალინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში — სულ 2.000 ჰექტარზე.

წელს პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად დავთესავთ 4.000 ჰექტარ სიმინდს და 4.000 ჰექტარ მზესუმზირას. ამ ფართობზე შევასრულებთ ორმხრივ კულტივაციას. წელს შემოდგომაზე კოლმეურნეობებში დავთესავთ 26.000 ჰექტარ ხორბალს, 1.500 ჰექტარ ქერს. თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვას ავიყვანთ 400 ჰექტარამდე, ხოლო კომბაინის დატვირთვას დღეში 14 ჰექტარამდე ნაცვლად 10 ჰექტარისა. თვითეული ჰექტარის დამუშავებას გავაიაფებთ 1 მანეთით.

ავამაღლებთ მექანიზაციის დონეს მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში; თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა, მარცვლეულის აღება და საკვების დასილოსება მექანიზებული იქნება 100 პროცენტით, თიბვა — 80 პროცენტით. სათოხნი კულტურების მწკრივთა შორის დამუშავებას ჩავატარებთ მთელი ფართობის 80 პროცენტზე. კომპლექსური მექანიზაციით დავამუშავებთ სიმინდს 400 ჰექტარზე და მზესუმზირას 300 ჰექტარზე.

100 პროცენტით განვახორციელებთ ცხვრის ელექტროპარსვას. დავამონტაჟებთ და სრულ წესრიგზე მოვიყვანთ კოლმეურნეობათა პირუტყვისათვის საკვების შესამზადებელ მანქანებს.

1958 წელს 5-6 პროცენტით დავზოგავთ საწვავ-საცხებ მასალებს სატრაქტორო სამუშაოებზე.

ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად ცალკეულ კოლმეურნეობებსა, ფერმებსა და ბრიგადებს შორის ფართოდ გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას. მივაღწევთ რა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას და პროდუქტიულობის ზრდას, ამასთან გადაჭარბებით შევასრულებთ მარცვლეულის, ყურძნის, ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმებს.

ავამაღლებთ პარტიულ-პოლიტიკური და საორგანიზაციო მუშაობის დონეს, ყველა ფერმაში მოვაწყობთ წითელ კუთხეს, სისტემატურად ჩავატარებთ ლექციათ-მოხსენებებს, კინოსეანსებს, მოსავლის აღების პერიოდში ბრიგადებში გამოვუშვებთ საველე გაზეთებს. მოვაწყობთ აგიტმხატვრული ბრიგადების გასვლას მინდვრად, ფართოდ დავნერგავთ სოფლის მეურნეობის დარგში მოწინავეთა გამოცდილებას და მეცნიერების მიღწევებს, სისტემატურად შევამოწმებთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, წავახალისებთ მოწინავეებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის მონაწილენი მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით შეასრულებენ ზემოაღნიშნულ ვალდებულებებს, კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიული დადგენილების შესასრულებლად.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის!

სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის მონაწილენი

საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **ზ. ბიძინაშვილი**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ი. მესხიშვილი**, საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის მეორე მდივანი **დ. გელაშვილი**, საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის მდივანი **ა. გონაშვილი**, წნორის მტს-ის დირექტორი **ვ. ჯავაშვილი**, საქართველოს ალკკ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. უანდაშვილი**, საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ი. ძანაშვილი**, ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე **შ. ჩერქეზიშვილი**, ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ თავმჯდომარე **ვ. ნაცვლიშვილი**, ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ხ. ბეგიაშვილი**, ხირსის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ლ. ნაცვლიშვილი**, წნორის მტს-ის უფროსი მექანიკოსი **გ. ტუხაშვილი**, ტიბაანის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი **ე. ნატროშვილი**, მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი **მ. ლაზარიაშვილი**, ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მჭედელი **შ. შაიშმელაშვილი**, ანაგის კოლმეურნეობა „შრომის“ უფროსი ზოოტექნიკოსი **ა. ღირსიაშვილი**, ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ ბრიგადირი **კ. მაზიაშვილი**, ტიბაანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ს. ალავერდაშვილი**, ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგე **დ. ზურაშვილი**, ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მწველავი **დ. ტუხაშვილი**, ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი **გ. ხატიაშვილი**, სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომის“ მეფრინველეობის ფერმის გამგე **მ. უსუფაშვილი**.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება

9 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრება.

შეკრების მონაწილეთა პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. პ. მეკავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, ფ. დ. დუმბაძე, ე. ა. შევარდნაძე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ახალგაზრდები, კომკავშირული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

მოხსენება „ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ" გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილმა.

— ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული ,ბრძნული გადაწყვეტილებებით, — თქვა მომხსენებელმა, — საქართველოს მშრომელებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნიუხვისათვის საერთო-სახალხო ლაშქრობაში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს კომეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე კომკავშირელებისა და ახალგაზრდების 100-ათასიან არმიას. სოფლის ახალგაზრდობამ დიდი მუშაობა გასწია შარშან ჩაის, ყურძნის, სიმინდის მოსავლიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ — კომკავშირის აფხაზეთის სოლოქმ კომიტეტის მდივანი ვ. კობახია, მოწინავე მეჩაიე მახარაძის რაიონიდან ლ. ხინთიბიძე, კომკავშირის ხამხრეთ ოსეთის სოლქმ კომიტეტის მდივანი ნ. ზადიშვილი, მოწინავე მექანიზატორი გორის რაიონიდან გ. აბალაკი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ი. ბერძენი და სხვები, სულ 14 კაცი.

შეკრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეკავანაძე, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით იგი მიესალმა შეკრების მონაწილეებსა და მათი სახით რესპუბლიკის მთელ ახალგაზრდობას.

— უკანასკნელი წლების განმავლობაში, — ამბობს ამხ. ვ. პ. მეკავანაძე, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დახმარებით ჩვენს რესპუბლიკაში გაწეულია დიდი მუშაობა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა სოფლის ახალგაზრდობამ, რომლისთვისაც შრომა ღირსების, მამაცობისა და გმირობის საქმე გახდა.

ამხ. ვ. პ. მეკავანაძე ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ აუცილებელია გულისხმიერად და ყურადღებით მოვეკიდოთ ახლის ყლორტებს, მხარი დავუჭიროთ ყოველივე მოწინავეს, გავხადოთ იგი მთელი ახალგაზრდობის კუთვნილებად.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, — განაგრძობს შემდეგ ამხ. ვ. პ. მეკავანაძე, — უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა მთელი ხალხი. ეს გადაწყვეტილებები გვისახავენ ჩვენი წინსვლის ფართო პერსპექტივებს.

ამას წინათ მოსკოვში უდიდესი წარმატებით ჩაიარა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ. იგი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის ურღვევი მეგობრობის ნათელი დადასტურება იყო, მან ცხადყო ჩვენი ხალხის უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. საკვირველია, რომ ყოველივე, რაც საუკეთესოა ჩვენს ხელოვნებასა, ლიტერატურასა და კულტურაში, მივაწოდოთ მასებს.

ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ მოიწოდა ახალგაზრდობას მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია, მთელი ძალები მიმართოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების გადაჭრისაკენ, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობაში.

დასასრულ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ გარდამავალი დროშები გადასცა გასულ წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მოწინავეებს.

შეკრების დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში.

• • •

საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): ზუგდიდის რაიონიდან — მეჩაიეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი **ა. ბერულავა**, ვანის რაიონიდან — კოლმეურნე **გ. კაცაძე**, მახარაძის რაიონიდან — მერგოლური **ზ. ჩიტაიშვილი** და ჩაის ფოთლის მკრეფავი სოციალისტური შრომის გმირი **ლ. კილაძე**, ზესტაფონის რაიონიდან — მევენახე **ვ. ამილახვარი**, ახალციხის რაიონიდან — მწველავი **ქ. ჯაოშვილი**, აჭარის ასს რესპუბლიკიდან — აგროტექნიკოსი **ი. ბოლქვაძე**, კავრეთის რაიონიდან — მწველავი **ლ. სოლოლაშვილი**.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

კ ო მ უ ნ ი კ ე

საგჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის მოლაპარაკების დამთავრების შესახებ

მოლაპარაკება, რომელიც მოსკოვში 1957 წელს დაიწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის, 1958 წლის აპრილში დამთავრდა.

ამ მოლაპარაკებას წინ უსწრებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს შორის წერილების გაცვლა, რომლებითაც მათ სურვილი გამოთქვეს მიეღწიათ ორმხრივი მოლაპარაკების გზით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებული იყო მოლაპარაკების დაწყებისას, ითვალისწინებდა სავაჭრო-ეკონომიური საკითხების, რეპატრიაციასთან დაკავშირებული საკითხებისა და საკონსულო უფლებათა შესახებ შეთანხმების დადების საკითხის განხილვას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან მოლაპარაკებას პოლიტიკურ საკითხებზე აწარმოებდა მთავრობის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვ. ს. სემიონოვის მეთაურობით და სავაჭრო-ეკონომიურ საკითხებზე მთავრობის დელეგაცია საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის პ. ნ. კუმიკინის მეთაურობით. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისაგან მოლაპარაკებას აწარმოებდა მთავრობის დელეგაცია საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რ. ლარის მეთაურობით; მისი მოადგილე იყო 1-ლი კლასის მრჩეველი დოქტორი ფონ ცან-სტრანიკი.

მოლაპარაკება, რომელიც მეტად დაწვრილებითი და შინაარსიანი იყო, წარმოებდა სულისკვეთებით, რომელიც შეესაბამება ამ მოლაპარაკების საერთო პოლიტიკურ მიზანს. თავდაპირველ სიძნელეთა დაძლევის შემდეგ დღის წესრიგის საკითხები გადაიჭრა ორივე მხარის კმაყოფილებისათვის. მიღწეული შედეგები გამოიხატა მთელი რიგი ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით.

ეკონომიურ საკითხებზე მოლაპარაკებაში შეთანხმებულ იქნა „გრძელვადიანი შეთანხმება საქონელბრუნვისა და გადასახდელების შესახებ", „ოქმი 1958 წლის საქონელბრუნვის შესახებ" და „შეთანხმება ვაჭრობისა და ნაოსნობის საერთო საკითხებზე" საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის.

საქონელბრუნვისა და გადასახდელების შესახებ გრძელვადიანი შეთანხმების მიზანია საბჭოთა კავშირისა და ფედერაციული რესპუბლიკის სავაჭრო ურთიერთობას მიეცეს უფრო ხტკიც და ხანგრძლივი ხასიათი. ეს შეთანხმება აწესებს საქონლის სიებს საბჭოთა კავშირისა და ფედერაციული რესპუბლიკის ექსპორტისა და იმპორტისათვის ხუთი წლის პერიოდში (1958-1960 წლებში), აგრეთვე განსაზღვრავს ორივე სახელმწიფოს შორის საქონელბრუნვისა და გადასახდელების განხორციელების წესებს.

შეთანხმება ითვალისწინებს ორივე სახელმწიფოს შორის წლითიწლობით საქონელბრუნვის მოცულობის მნიშვნელოვან გადიდებას, რაც 1960 წელს იქნება დაახლოებით 1.200 მილიონი მანეთი, ანუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1.260 მილიონი მარკა, რაც დაახლოებით ერთნორად აღემატება 1957 წლის საქონელბრუნვას. შეთანხმებული საქონლის მიწოდების საერთო მოცულობა 1958-1960 წლებში იქნება დაახლოებით 3.000 მილიონი მანეთი, ანუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 3.150 მილიონი მარკა. საქონლის სიები ყოველწლიურად დაზუსტდება და შეიცვლება ორივე მთავრობას შორის შეთანხმებით. ამასთან დაკავშირებით მოელიან, რომ საქონელბრუნვა საბჭოთა კავშირსა და ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ამ სამ წელიწადში აღნიშნულ მოცულობას გადაჭარბებს.

გრძელვადიანი შეთანხმებისათვის დართული სასაქონლო სიები ითვალისწინებენ, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები ფედერაციულ რესპუბლიკაში გაანაწილებენ საბჭოთა კავშირისათვის აღნიშნულ სამ წელიწადში მისაწოდებლად სხვადასხვა სახეობის მანქანებისა და მოწყობილობის დიდ შეკვეთებს, მათ შორის ზოგიერთი სახეობის მოწყობილობის შეკვეთას სამთამადნო და მეტალურგიული მრეწველობისათვის, დიდ საქედ მანქანებს, ავტომატური დგანების ხაზებს და ლითონდამმუშავებელ ჩარხებს, ქიმიური მრეწველობის მოწყობილობას, მათ შორის სინთეზური ბოჭკოსა და პლასტმასების წარმოებისათვის, მოწყობილობას ხისა და ბურბუშელის ფილებისა ქარხნებისათვის, ტექნოლოგიურ მოწყობილობას ვეშაპთბაზებისა და ტრაულერ-თევზქარხნებისათვის. ფედერაციულ რესპუბლიკაში შესყიდულ იქნება აგრეთვე შავი ლითონების ნაგლინი, კაბელის ნაწარმი, ქიმიური და სხვა საქონელი, მათ შორის სამომხმარებლო დანიშნულების ზოგიერთი საქონელი.

საქონლის სიები ითვალისწინებენ, რომ იმავე პერიოდის განმავლობაში ფედერაციულ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირიდან შეტანილ იქნება ხე-ტყის მასალები, ცელულოზა, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მარცვლეული, ქვანახშირი, ასბესტი, მარგანეცისა და ქრომის მადნები, ფეროშენადნობები, მანქანები და მოწყობილობა, ბამბა, სელის ბოჭკო, ქერელი, ქიმიური საქონელი, თამბაქო და მთელი რიგი სხვა საქონელი.

1958 წლის საქონელბრუნვის შესახებ ოქმი აწესებს დაზუსტებულ სიებს მომდინარე წლისათვის.

შეთანხმება ვაჭრობისა და ნაოსნობის საერთო საკითხებზე განსაზღვრავს ზოგიერთ ყველაზე დიდმნიშვნელოვან სავაჭრო-პოლიტიკურ და უფლებრივ პირობებს, რომლებზეც დამყარებული იქნება ორივე სახელმწიფოს ურთიერთობა ვაჭრობისა და ნაოსნობის დარგში. შეთანხმება ითვალისწინებს, კერძოდ, უპირატესი მფარველობის რეჟიმის მინიჭებას საბაჟო და ზოგიერთ სხვა საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ექსპორტთან და იმპორტთან; იგი აწესრიგებს აგრეთვე ნაოსნობის საკითხებს. შეთანხმება ითვალისწინებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის დაარსებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და განსაზღვრავს მის უფლებრივ მდგომარეობას.

იმ საკითხებზე მოლაპარაკების დროს, რომლებიც დაკავშირებულია ორივე მხარის ცალკეული მოქალაქეების გამგზავრებასთან, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ საბჭოთა მხარე კეთილმოსურნეობით განიხილავს პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცალკეული გერმანელი მოქალაქეების გამგზავრების შესახებ შუამდგომლობასთან დაკავშირებით. ამგვარადვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალნი განიხილავენ იმ საბჭოთა მოქალაქეების შესაბამის შუამდგომლობას, რომლებიც ამჟამად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფებიან და სურთ გაემგზავრონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე მხარემ განაცხადა, რომ ემხრობა წარსულ ომთან დაკავშირებით გათიშული ოჯახების შეერთების პრინციპს, ამასთან ისინი შეთანხმდნენ, რომ თვითეული მხარე იმოქმედებს თავისი კანონმდებლობის საფუძველზე.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ თანახმაა განგრძობილ იქნას ორივე სახელმწიფოს წევრი ჯგრის საზოგადოებათა თანამშრომლობა.

მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებული საკონსულო ხელშეკრულება საკონსულო ურთიერთობას ორივ, სახელმწიფოს შორის აყენებს სახელშეკრულებო საფუძველზე და ქმნის ორივე სახელმწიფოს მოქალაქეთა, აგრეთვე მეორე მხარეში ვაჭრობისა და ნაოსნობის ინტერესების ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობას. ხელშეკრულების პრაქტიკული მნიშვნელობა ამჟამად ის არის, რომ მოწესრიგებულ იქნას ორივე სახელმწიფოს საელჩოების საკონსულო განყოფილებათა თანამდებობრივი რწმუნებანი. ხელშეკრულება გახდება საკონსულოების საქნიანობის საფუძველი იმ შემთხვევაში, თუ საკონსულოები დაწესებულ იქნა უფრო გვიან.

შეთანხმებანი პარაფირებულ იქნა მთავრობათა დელეგაციების მეთაურების მიერ მთავრობათა დელეგაციების საბოლოო პლენარულ სხდომაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა 1958 წლის 8 აპრილს.

შეთანხმებათა ხელმოწერა ორივე მთავრობას შორის შეთანხმების შესაბამისად მოხდება ბონში უახლოეს დროში. ფედერალურმა მთავრობამ საბჭოთა მთავრობას გადასცა მიწვევა ამ მიზნისათვის გაგზავნოს ბონში საბჭოთა კავშირის მთავრობის წევრი.

დამთავრდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის

8 აპრილს დამთავრდა მოლაპარაკება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის ორივე ქვეყნის უფლებრივ-ერთობის განვითარების საკითხებზე. იმავე დღეს გაიმართა მოლაპარაკების მსვლელობაში სავაჭრო-ეკონომიურ საკითხებზე გამომუშავებულ შეთანხმებათა, აგრეთვე საკონსულო ხელშეკრულების პარაფირება. საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებანი სავაჭრო-ეკონომიურ საკითხებზე პარაფირებულ იქნა საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ამხ. პ. ნ. კუმიკინის მიერ, საკონსულო ხელშეკრულება — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ამხ. ვ. ს სემიონოვის მიერ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ აღნიშნული დოკუმენტები პარაფირებულ იქნა საგანგებო ელჩის სრულუფლებიანი ელჩის რ. ლარის მიერ.

პარაფირების შემდეგ ვ. ს. სემიონოვმა, პ. ნ. კუმიკინმა და რ. ლარმა წარმოთქვეს სიტყვები და მიიღეს ერთობლივი კომუნიკე, რომლის ტექსტი აქვე ქვეყნდება.

(საკადესი).

სპორტის ამგეგი

★ ★

მატჩ - რევანში

8 აპრილს მოსკოვში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ვ. სმისლოვისა და მ. ბოტვინიკის საჭადრაკო მატჩ-რევანშის მე-14 პარტია. ვ. სმისლოვმა, რომელიც შავებით თამაშობდა, აირჩია გრიუნფელდის დაცვა. დასაწყისში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. რამდენიმე ფიგურის გაცვლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა პოზიციურად უკეთესი მდგომარეობა მიიღო, მაგრამ შემდეგ ვერ მონახა სწორი გეგმა და ინიციატივა ხელთ იგდო მ. ბოტვინიკმა. პარტია გადაიდო ექს-ჩემპიონისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

9 აპრილს დედაქალაქის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო გადადებული პარტიის დამთავრება. მ. ბოტვინიკმა კარგად გამოიყენა პოზიციური უპირატესობა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მატჩის ანგარიში გახდა 9:5 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

გუშინ გაიმართა მე-15 პარტია, რომელიც გადაიდო ბოტვინიკისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

საქართველოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მესამე ტურში ტოგონიძემ მიუგო ივანოვას, ჩაიკოვსკაიამ — კამენკოვიჩს, კაკაბაძემ — ბუცხრიკიძეს, ხაჭაპურიძემ — ფანქელაშვილს, სამსონიამ — ბერიშვილს. გოგიაკა და აბროსიმოვა ყაიმზე შეთანხმდნენ. 1 პარტია გადაიდო.

9 აპრილს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ხუბუამ და ივანოვამ გაუთამაშებლად დათმეს პარტიები ხაჭაპურიძესთან და აბროსიმოვასთან. კაკაბაძემ გაიმარჯვა ჩომახიძესთან, კამენკოვიჩმა — სამსონიასთან, ხუბუამ — ჩომახიძესთან.

სამი ტურის შემდეგ წინ არიან ტოგონიძე და ჩაიკოვსკაია (სამ-სამი ქულა).

შეხვედრა ინგლისელ ალპინისტთან

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება ცნობილი ინგლისელი ალპინისტი ჩ. ევანსი მეუღლითურთ. ისინი იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში, რის შემდეგ თბილისს ეწვივნენ.

თბილისში სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

9 აპრილს საქართველოს ალპურმა კლუბმა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოაწყო ეკვრესტისა და კანგჩენჯანგას გმირთან ჩ. ევანსთან შეხვედრა. მოსმენილ იქნა ჩ. ევანსის მოხსენება — „ასვლა კანგჩენჯანგაზე". დამსწრეებმა ნახეს დოკუმენტალური ფილმი — „ბრიტანეთის ექსპედიცია კანგჩენჯანგაზე".

მოკლედ

◎ ბუქარესტში დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება ფარიკაობაში ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრება წარმატებით დაამთავრეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა ფარიკაობის ორ სახეობაში პირველი ადგილი დაიკავეს.

◎ მოსკოვში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება წყალბურთში. მონაწილეობს 12 უძლიერესი კოლექტივი. საქართველოდან გამოდის 2 გუნდი — „დინამო" და „ბურევესტნიკი". დინამოელებმა ორი მატჩიდან წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილისა (ბაქო) და ლვოვის „დინამოს" გუნდებთან ორივე მოიგეს 3:2 და 3:1. „ბურევესტნიკის" გუნდმა 2 შეხვედრა წააგო.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ტორპედო" — „კრილია სოვეტოვი"

9 აპრილს თბილისის „დინამოს" სტადიონი კვლავ სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ გაიმართა XX ჩემპიონატის ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა — დედაქალაქის „ტორპედოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდებს შორის.

ანგარიში ტორპედოელებმა გახსნეს. 22-ე წუთზე ერთ-ერთი ლამაზი კომბინაცია ს. მეტრეველის დარტყმით დაგოლით დამთავრდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კუიბიშეველთა მარჯვენა გარემარბმა ვ. რედკინმა საპასუხო ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. მე-16 წუთი კვლავ მოსკოველთა წარმატებით აღინიშნა. შუამარბმა ე. სტრელცოვმა ძნელი მდგომარეობიდან მეორე ბურთი გაიტანა.

მალე „ტორპედოს" კართან დანიშნულ იქნა 11-მეტრიანი საჯარიმო. ვ. კარპოვმა გაათანაბრა ანგარიში. შეხვედრა დამთავრდა ფრეად 2:2.

„სპარტაკი" — „დინამო"

10 აპრილს თბილისის „დინამოს" სტადიონზე საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდები.

დასაწყისში ინიციატივა თბილისელებს ჰქონდათ, მაგრამ შუამარბმა თ. მელაშვილმა სამჯერ გაუშვა ხელიდან ბურთის გატანის შესაძლებლობა.

მალე სპარტაკელებმა კონტრთამაშით უპასუხეს და დიდხანს უპირატესობასაც ინარჩუნებდნენ. 43-ე წუთზე მეკარე ა. კვაჭაძემ უხეში შეცდომა დაუშვა, რასაც ბურთის გატანა მოჰყვა.

შეჯიბრების მეორე ნახევარში მოსკოველთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ დამატებით 4 ბურთი გაიტანეს. აქედან 3 — დინამოელთა კარში, 1 — საკუთარ კარში.

შეხვედრა დამთავრდა დედაქალაქის „სპარტაკის" გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

რესპუბლიკური პირველობა ფეხბურთში

დაიწყო საქართველოს 1958 წლის პირველობა ფეხბურთში.

პირველი მატჩების შედეგები ასეთია:

I ზონა

„სპარტაკი" (სტალინირი) — „განთიადი" (გორი) 0:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი) 2:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლა 2:1, „კოლმეურნე" (ქობულეთი) — „სპარტაკი" (თელავი) 1:3. ტტს (თბილისი) — „დინამო" (ქუთაისი) 2:1.

II ზონა

26 კომისრის რაიონი — „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) 1:0, „ოდიში" (ზუგდიდი) — „მეტალურგი" (ჭიათურა) 2:2, „ტორპედო" (ქუთაისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:1, ფოთის გუნდი — „კოლმეურნე" (მახარაძე) 2:0, „სხვი" (რუსთავი) — „დინამო" (ბათუმი) 1:1.

ე. მეჯვრეველი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის უფროსმა მეცნიერმა თანაშრომელმა ე. მეტრეველმა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ტიმოთე გაბაშვილის მიმოსვლა".

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა ე. მეტრეველისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ჟურნალი „მნათობი" № 2

გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „მნათობი" № 2.

იგი იხსნება ი. აბაშიძის ლექსით „რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში". აქვე გამოქვეყნებულია თ. ჯანგულაშვილის, ნ. ჩაჩავას, ა. მეფეიოვის (თარგმანი ბ. ელდიაშვილის და რ. ჭიკინაძისა), მ. კახიძის, ფოტულა იანაკოპულოს (თარგმანი ო. ჭილაძისა), ლ. ირემაშვილის ლექსები და იოჰან კოლფგანგ გოეთეს „ფაუსტის" ნაწყვეტი (თარგმანი ა. ქუთათელისა).

ეკონომიკა

ეკონომიკა

ეკონომიკა